სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

III კვარტალი

თბილისი

2017

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	-2
მედიაწარმოების ბლოკი	- 8
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	- 11
წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	- 26
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 29
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივი	- 36
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 39
ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი	- 40

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა დაიწყო მაუწყებლის განვითარების გეგმის განხორციელება. გრძელვადიანი პროექტი გულისხმობს საწარმოო ციკლის პირველი კორპუსიდან სხვა კორპუსში გადატანას. მანამდე კი პირველი კორპუსის მესამე სართულზე ჩატარდა ახალი ნიუსრუმის სარემონტო სამუშაო. მომავალ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია მისი აღჭურვა.

ტექნიკური გადაიარაღების გეგმის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ტენდერები პირველი არხი ახალი და არსებული შენობების არქიტექტურული მომსახურების, ვიდეოკამერებისა და მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილების შესყიდვაზე.

წინასაარჩევნო პერიოდში ინტეგრირებული ნიუსრუმი განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. აქცენტი გაკეთდა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაშუქებაზე. მაქსიმალურად გაშუქდა ყველა პარტიისა და კოალიციის საარჩევნო ღონისძიებები და განცხადებები. მნიშნელოვანი ყურადღება გამახვილდა არჩევნების მონიტორინგზე.

დაიწყო წინასაარჩევნო გადაცემათა ციკლი თვითმმართველობა 2017. წინასაარჩევნო დებატები ტელე და რადიოს პირდაპირ ეთერში კვირაში სამჯერ გადაიცემა. პროექტი სულ 15 გადაცემას მოიცავს, აქედან 4 გადაცემა თბილისიდან, დანარჩენი 11 კი რეგიონებიდან გადაიცემა.

წინასაარჩევნო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი კიდევ 2 რადიო პროექტს ახორციელებს. პროგრამაში „ღია სტუდია“ 12 კვალიფიციური სუბიექტის ლიდერები რეგიონებში მათ კანდიდატებსა და პროგრამებზე საუბრობენ, ხოლო პროგრამა „საღამოს პიკის საათი“ თბილისის მერობის კანდიდატებს ეთმობა. ეს პროექტები სიღრმისეული ინტერვიუს ფორმატით მიმდინარეობს და დებატებს არ ითვალისწინებს.

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა დაიწყო 3 საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუსთვის მზადება. სხვადასხვა ფორმატის პროგრამები ერთ საათობრივ ზოლად ჩამოყალიბდება. პარალელურად მიმდინარეობს განახლებული მოამბისათვის მზადება. საუბარია შემაჯამებელი საინფორმაციო პროგრამის სტრუქტურის, დინამიკისა და ვიზუალის ძირეულ ცვლილებებზე.

ახალ და განახლებულ პროგრამებს აუდიტორია შემდეგ საანგარიშო პერიოდში, ნოემბრიდან, იხილავს.

2. სიახლეები

2.1. მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღება

საანგარიშო პერიოდში პირველი არხის მენეჯმენტმა მაუწყებლის განვითარების ოთხწლიანი გეგმა მედიას წარუდგინა. მაუწყებელში დაიწყო დიდი პროექტები, რაც გულისხმობს ახალი ტელევიზიის შექმნას.

ტექნიკური გადაიარაღების მიზანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა:

- ☐ კონტენტის მართვის ავტომატიზირებული ინტელექტუალურ ლოგიკური სისტემები (შიდა კომუნიკაცია, დოკუმენტაციისა და კონტენტის ელექტრონული მართვა, ERP, MAM, CMS)
- ☐ მაღალი გარჩევადობის გამოსახულება და მაღალი ხარისხის ხმა (HD, Stereo, კონტენტისა და წარმოების ხარისხი, კამერები, მიქშერები, განათება და სხვა)
- ☐ სიგნალების მიღება და გავრცელება სხვადასხვა პლატფორმაზე (სატელიტები, ჩართვის აპარატები, FLYWY და სხვა)

გრძელვადიანი პროექტი გულისხმობს საწარმოო ციკლის პირველი კორპუსიდან სხვა კორპუსში გადატანას. რადგანაც ახალი ნიუსრუმი მხოლოდ სამი წლის შემდეგ ამოქმედდება, დღის წესრიგში დადგა დროებითი გადაწყვეტის აუცილებლობა.

ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში პირველი კორპუსის მესამე სართულზე ჩატარდა ახალი ნიუსრუმის სარემონტო სამუშაოები. მომავალ საანგარიშო პერიოდში დაგეგმილია მისი აღჭურვა.

აღსანიშნავია, რომ რემონტთან დაკავშირებული ხარჯები მიზერულია ტექნიკურ და პროგრამულ აღჭურვასთან შედარებით. ეს უკანასკნელი კი მშენებლობის დასრულებისთანავე ახალი ნიუსრუმის კორპუსში გადაინაცვლებს. ანუ ნიუსრუმის გადაირაღების პირველი ეტაპის ხარჯების 90%-ზე მეტი გრძელვადიან კაპიტალდაბანდებას წარმოადგენს მომავალი ნიუსრუმის პროექტში.

ტექნიკური გადაიარაღების გეგმის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა რამდენიმე ტენდერი:

- ***პირველი არხის*** ახალი და არსებული მესამე კორპუსის შენობების არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვა;
- ვიდეოკამერებისა და ვიდეოკამერების აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვა;
- 20 (ოცი) ერთეული მე-3 კლასის მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის (ჯიპების) სახელმწიფო შესყიდვა.

სამივე შესყიდვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკისთვის. თუ პირველი შესყიდვა უფრო გრძელვადიან გეგმებს უკავშირდება და ახალი ნიუსრუმის შენობა სავარაუდოდ 3 წელიწადში ამოქმედდება, დანარჩენი ორი ტენდერი გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. კამერების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, ხოლო მათი რაოდენობა - არასაკმარისი. ამიტომ მოამბის და კვირის მოამბის თბილისის ჯგუფისთვის გათვალისწინებულია 22 კამერა, ხოლო მოამბის რეგიონების ჯგუფებისთვის 9 კამერა.

რაც შეეხება ავტოპარკში არსებულ მძიმე მდგომარეობას, 20 მაღალი გამავლობის ავტომობილი მნიშვნელოვნად გაზრდის გადამღები ჯგუფების მობილურობას და ოპერატიულობას.

2.2. არჩევნების გაშუქება

ადგილობრივი თვითმართველობის 2017 წლის არჩევნების მიუკერძოებელი და დაბალანსებული გაშუქება, როგორც ახალი ამბების, ისე მიმდინარე მოვლენების კონტექსტში არის პირველი არხისთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

წინასაარჩევნო პერიოდში ინტეგრირებული ნიუსრუმი განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. აქცენტი გაკეთდა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაშუქებაზე. მაქსიმალურად გაშუქდა ყველა პარტიისა და კოალიციის საარჩევნო ღონისძიებები და განცხადებები. მნიშნელოვანი ყურადღება გამახვილდა არჩევნების მონიტორინგზე.

არჩევნების სრულფასოვნად გაშუქების მიზნით პირველმა არხმა შეიმუშავა რამდენიმე პროექტი.

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა დაიწყო წინასაარჩევნო გადაცემათა ციკლი თვითმმართველობა 2017. წინასაარჩევნო დებატები ტელე და რადიოს პირდაპირ ეთერში კვირაში სამჯერ გადაიცემა.

პროექტის უმთავრესი მიზანია:

- ☐ უზრუნველყოს მოქალაქეების მაქსიმალურად სრული და ყოველმხრივი ინფორმირება არჩევნებში მონაწილე პარტიების, კანდიდატებისა და მათი პროგრამების შესახებ;
- ☐ უზრუნველყოს რეგიონების მაქსიმალური ჩართულობა გადაცემაში;
- ☐ წარმოაჩინოს ადგილობრივ მცხოვრებთა პრობლემები, რომელთა გადაჭრის გზებზე გაიმართება დებატები საარჩევნო სუბიექტებს შორის.

პროექტი სულ 15 გადაცემას მოიცავს, აქედან 4 თბილისიდან, დანარჩენი 11 გადაცემა კი რეგიონებიდან გადაიცემა.



პირველი გადაცემა დაეთმო ადგილობრივი არჩევნების არსისა და მნიშვნელობის განმარტებას. დანარჩენი 5 გადაცემა მერობის კანდიდატებს შორის დებატებს დაეთმო. პირდაპირი ეთერი გადაიცემოდა ბათუმიდან, ოზურგეთიდან, ფოთიდან, ზუგდიდიდან და ქუთაისიდან. პროექტი დასრულდება 19 ოქტომბერს თბილისის მერობის კანდიდატების დებატებით.

ყოველი გადაცემისთვის წინასწარ მომზადდა მასალები. „პროფაილები“ აუდიტორიას კონკრეტული მუნიციპალიტეტის შესაზებ ზოგად ინფორმაციას აწვდიდა. ვიდეომასალებში კი კონკრეტული ადამიანები მოგვითხრობენ მათი პრობლემების შესახებ. წინასწარ მომზადდა ქუჩის გამოკითხვა ადგილობრივ მცხოვრებთათვის მტკივნეულ თემებზე. დებატების ძირითადი ნაწილი სწორედ მოქალაქეების მიერ გაჟღერებულ პრობლემატიკას და მათი გადაჭრის გზებს მიეძღვნა.

დებატებში მონაწილეებისთვის სალაპარაკო დრო ლიმიტირებულია.

როგორც უკვე ითქვა, წინასაარჩევნო დებატების მოსმენა რადიო ეთერითაც იყო შესაძლებელი. წინასაარჩევნო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი კიდევ 2 რადიო პროექტს ახორციელებს.

18 სექტემბრიდან ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს, „საზოგადოებრივი რადიო 1“-ის გადაცემებში „ღია სტუდია“ (14:10-14:50) 12 კვალიფიციური სუბიექტის ლიდერები პირდაპირ ეთერში საუბრობენ რეგიონებში მერობისა და საკრებულოს წევრობის კანდიდატებზე, საარჩევნო პროგრამებზე. რადიოპროგრამაში მონაწილეობენ პოლიტიკური სუბიექტების კანდიდატები.

გადაცემა იმართება ინტერვიუს ფორმატით და მისი თემები წინასწარ ცნობილია. პროექტის ბოლო გადაცემა 18 ოქტომბერს გავა ეთერში.

მეორე პროექტი ეძღვნება თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნებს. 19 სექტემბრიდან ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს, „საზოგადოებრივი რადიო 1“-ის გადაცემაში „საღამოს პიკის საათი“ (17:10-17:50) 9 კვალიფიციური (მათთან გათანაბრებული) სუბიექტის მერობის კანდიდატები ან სიით პირველი ნომრები საუბრობენ მათ საარჩევნო პროგრამებსა და კანდიდატებზე. ამ პროექტის ბოლო გადაცემა 17 ოქტომბერს გავა ეთერში.

2.3. ახალი ეთერისთვის მზადება

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი ამზადებს 3 საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქ-შოუს, რომლებიც ეთერში შემდეგ საანგარიშო პერიოდში გავა. ეს პროგრამები შექმნიან ერთიან საათობრივ ზოლს. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ რომელიც ეთერში გავა ორშაბათ-ხუთშაბათს დისკუსიის ფორმატის იქნება. კიდევ ერთი პროგრამა, სიღრმისეული ინტერვიუ, ეთერში გავა ყოველ პარასკევს. კვირის ანალიტიკური გადაცემა კი საერთაშორისო მოვლენებს მიეძღვნება.



ამ გადაცემებისთვის ინტენსიურად მიმდინარეობს სტუდიების განახლება.

პარალელურად მიმდინარეობს განახლებული მოამბისათვის მზადება. საუბარია შემაჯამებელი საინფორმაციო პროგრამის სტრუქტურის, დინამიკისა და ვიზუალის ძირეულ ცვლილებებზე.

ახალ და განახლებულ პროგრამებს აუდიტორია შემდეგ საანგარიშო პერიოდში, ნოემბრიდან, იხილავს.

3. პრობლემები

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი კვლავ განიცდის ტექნიკური აღჭურვილობის და სატრანსპორტო საშუალებების დეფიციტს. არსებული პარკის დიდი ნაწილი მორალურად და ტექნიკურად მოძველებულია.

სერიოზულ პრობლემად რჩება რეგიონებში სრულფასოვანი ბიუროების ჩამოყალიბება და მათი აღჭურვა.

ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად კვლავ პრობლემურია რადიო სიგნალის გავრცელების არეალი და ხარისხი, რაც დაკავშირებულია როგორც გადამცემების ნაკლებობასთან და მათ ტექნიკურ მდგომარეობასთან ასევე საკანონმდებლო ბარიერებთან.

4. სამომავლო გეგმები

მომავალ საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის წინაშე დასმული ამოცანების და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიახლეს იქნება ახალი ფორმატის მოამბე 21:00 საათზე, ახალი თოქ-შოუები, და განახლებული ვებ-პლატფორმა. ასევე აღსანიშნავია თვითმართველობის არჩევნების გაშუქება.

მომავალი კვარტლიდან ეთერში გავა ახალი ფორმატის საინფორმაციო გამოშვება მოამბე 21:00 საათზე. ახალმა ფორმატი სოციალური პრობლემების, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების, რიგითი მოქალაქის პრობლემების და სხვა არამეინსტრიმული საკითხების ღრმა და მრავალმხრივი გაშუქების საშუალებას მოგვცემს.

დაგეგმილია ახალი თოქ-შოები აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად და კვირის ინტერვიუ. ეს გადაცემები წარმოადგენს კარგ პლატფორმას დისკუსიებისათვის.

ამუშავდება მაუწყებლის ახალი ვებ-გვერდი 1tv.ge, რომლის მთავარ გვერდიც ახალ ამბებს დაეთმობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თვითმართველობის არჩევნებს და საკონსტიტუციო რეფორმას. გაგრძელდება პროექტი თვითმართველობა 2017 - ჩვენ მოვდივართ თქვენთან. არჩევნებს ცალკე პროექტებს დაუთმობს საზოგადოებრივი რადიო ეთერშიც.

გრძელდება საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროექტი გამომძიებელი რეპორტიორი.

გაგრძელდა პირველი არხის მენეჯმენტის მიერ შემუშავებული მაუწყებლის გადაიარაღების გეგმის იმპლემენტაცია. პირველი კორპუსის მესამე სართულზე გაგრძელდა ახალი ნიუსრუმის სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები.

გამოცხადდება ტენდერი პირველი არხის ბათუმის ოფისის სამშენებლო სამუშაოებზე.

ჩატარებული ტენდერების შესაბამისად მაუწყებელი მიიღებს ახალ კამერებს და მაღალი გამავლობის ავტომანქანებს.

მედია წარმოების ბლოკი

1. ზოგადი სტატისტიკური მონაცემები

მესამე კვარტლის მოცემულობით მედია წარმოებაში მუშაობს **143** ადამიანი აქედან:



წინა მოსამზადებელი ფაზაშია (Pre Production) **11** სატელევიზიო პროექტი:

რეალური სივრცე
ნაცნობი მელოდიები
პირადი ექიმი - მარი მალაზონია
ფერმა
წიგნების თარო
ხარ თუ არა მეხუთე კლასელზე ჭკვიანი?!
კულინარიული შოუ-„გურმანია
ფოტო ლოგიკა
ილუზიონი
მუსიკალური მეგა შოუ რანინა

წინა მოსამზადებელი ფაზაშია (Pre Production) **1** ვებ პროექტი:

ხანმოკლე მეოცე საუკუნე

ბასა-რატი

წარმოების ფაზაშია **3** დოკუმენტური ფილმი:

რემისია

შარდენის კვალდაკვალ

სტოქსი

მაუწყებლობის ფაზაშია: **34** რადიო პროექტი:

თავისუფალი ლიტერატურა	კულტურული მემკვიდრეობა	ცხოვრება ხელოვნებაში	აკადემიური სივრცე	მუსიკა რადიო ერთზე	პუბლიცისტური მემკვიდრეობა
რადიობლოგერი	სიტყვა ქართული	სოფლის დილა	სტილი და იდეა	ფოლკლორი რადიო ერთზე	ჩვენი საგანძური
ჩვენი ქალაქის პატარა ამბები	კონსულტაცია რადიო 1 ზე	განსხვავებული აზრი	მიგრაციის მარშუტები	პიკის საათი	შაბათ კვირა რადიო ერთზე
ხაზის რადიო	გალერეა რადიო	რადიოთეატრი	კულტურული მემკვიდრეობა ქართლის ცხოვრება (რადიო)	იყო და არა იყო რა	დო რე მი
იგს ბოქსი	კოლექცია	მუსიკა ღამით	რა სურთ ქალებს	უცნობი მუსიკა რადიო	საუკეთესო წიგნები
	ორიენტირები	კინოფილმი უეკრანოდ	რადიოსერიალი	თეატრი რადიო 1 ზე	

---

2. <u>მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები</u>

ინიცირებული და რეკომენდაციით მიღებული პროექტების მიმართულებით განხორციელდა შემდეგი ამოცანები:

- ☐ შემოქმედებითი ჯგუფის განსაზღვრა;
- ☐ წარმოების ჯგუფის განსაზღვრა;
- ☐ ტექნიკური რესურსების განსაზღვრა;
- ☐ დეკორაციის ესკიზის განსაზღვრა/ბიუჯეტირება;
- ☐ პრომოუშენის და ბრენდ კონცეფციის განსაზღვრა;
- ☐ სარეკლამო კამპანიის განსაზღვრა;

- ☐ შეფუთვის კონცეფციის განსაზღვრა;
- ☐ ონლაინ მედია აქტივობების განსაზღვრა;
- ☐ ბიუჯეტის კორექტირება;
- ☐ წარმოების ციკლის ლოგისტიკის დაგეგმვა;

რადიოს რეორგანიზაციის პროექტი - მედია და კომუნიკაციის ბლოკისგან მიღებულია ალტერნატიული რადიობადე ზოლების მიხედვით. ბადის გათვალისწინებით, მედია წარმოების ბლოკი უზრუნველყოფს ზოლების მიხედვით შესაბამისი პროექტების ინიცირებას და დაფორმატებას. მედია წარმოების პროექტების განვითარების სამსახური წარადგენს ხედვას და ინიცირებულ ფორმატებს აღმასრულებელ საბჭოზე. ფორმატების დამტკიცების შემდეგ, განხორციელდება არსებული საშტატო ერთეულების გადანაწილება ახალ ფორმატებზე.

ამოქმედდა დოკუმენტური ფილმების იდეების სივრცე-დოკუმენტური ფილმების წარმოების მიზნით მედია წარმოების ბლოკის ქართული ფილმების შერჩევა მონიტორინგის სამსახურის მიერ შეიქმნა იდეების სივრცე - ვებ პორტფელი, სადაც ნებისმიერ ქართველ დოკუმენტალისტს შეუძლია საპროექტო წინადადების, იდეის წარდგენა, ვებ პორტფელის აპლიკაცია ხელმისაწვდომია ყველა მსურველისთვის. საუკეთესო პროექტებს ქართული კინოპროდუქციის შერჩევისა და მონიტორინგის სამსახურისა და მედიაწარმოების დირექტორები გამოავლენენ. გაიწერა იდეების ბანკში შემოსული ფილმების შერჩევისა და წარმოების დეტალური პროცედურები; ვადები და ანგარიშვალდებული პირები. მედია წარმოების ბლოკის ქართული ფილმების შერჩევა მონიტორინგის სამსახურმა იდეების სივრცის პრეზენტაცია ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალ Biaff-ის ფარგლებში გამართა. გაწერილი პროცედურების მიხედვით შემოსული ფილმების გადარჩევა და წინასწარ განსაზღვული ვადებისა და პროცედურების დაცვით შერჩეული ფილმების წარმოების დაწყება.

გამოცხადდა ტენდერი სერიალის " ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე" წარმოებაზე - განხორციელდა 12 სერიის სცენარის ფორმირება. გამოცხადდა ტენდერი სერიალის წარმოების შესრულებაზე. მიმდინარე სტადიაშია ტენდერში გამარჯვებული მწარმოებელი კომპანიის გამოვლენა.

დასრულდა სერიალის „ დროებით დასაქმებული" საპილოტე ვერსია - დასრულდა საპილოტე ვერსიის გადაღება. შემდგომი ამოცანაა - საპილოტე ვერსიის პრეზენტაცია აღმასრულებელ საბჭოზე და წარმოების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

განხორციელდა ბლოკში შემავალი სამსახურების სტრუქტურის ფორმირება-დასრულდა ბლოკის და ბლოკში შემავალი სამსახურების სტრუქტურის ჩაშლა, სამუშაო პროცესების ფორმირება, სამუშაო აღწერილობების ფორმირება. სერიული ტიპის პროექტები (სერიალები) გადმოვიდა პროექტების განვითარების სამსახურის დაქვემდებარებაში. მიმდინარეობს ჩაშლილი სტრუქტურის იმპლიმენტაცია. ნაკლოვანებების იდენტიფიცირება შემდგომი კორექციის მიზნით.

დაიხურა შემდეგი სატელევიზიო პროექტები:

ტელემანი
გადაცემა ცოცხალი მუსიკა
შაბათ საღამოს ლიზასთან
კაცების დრო
ცე სტუდია
სიტყვების თამაში
დღე მუზეუმში
გააგრძელე საქართველოს ისტორია
პროექტი 43
უცნობი მუსიკა

4. <u>ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ აღსანიშნავი (მიღწევებიც და ჩავარდნებიც).</u>

NON

<u>5. დინამიკა: მიმდინარე კვარტალში - ეტაპები/ქმედებები/ვადები).</u>

ივლისი	აგვისტო-სექტემბერი	ოქტომბერი-ნოემბერი	დეკემბერი
	PRE PRODUCTION	PRODUCTION	POST PRODUCTION
	წარმოების ჯგუფის განსაზღვრა	შეფუთვის დამზადება	მონტაჟი
	ტექნიკური რესურსების განსაზღვრა	საპრომოციო კამპანიის განხორციელება	გრაფიკა
	დეკორაციის ესკიზის განსაზღვრა/ბიუჯეტირება	სარეკლამო კამპანიის განხორციელება	მუსიკა
	პრომოუშენის და ბრენდ კონცეფციის განსაზღვრა	ონლაინ მედია აქტივობების განხორციელება	ჩაბარება
	სარეკლამო კამპანიის განსაზღვრა	ვებ გვერდის დამზადება	
	შეფუთვის კონცეფციის განსაზღვრა	დეკორაციის დამზადება	
	ონლაინ მედია აქტივობების განსაზღვრა	ტექნიკური რესურსების კომპლექტაცია	
	წარმოების ციკლის ლოგისტიკის დაგეგმვა	დეკორაციის აწყობა	
	სატენდერო წინადადების მომზადება/გამოცხადება	ტექ პრაგონი,საეთერო პრაგონი, ტეტ ჩაწერა	

<u>6. სერიოზული პრობლემები და მათ დასაძლევად გადადგმული ნაბიჯები, მოგვარების გზები.</u>

☐ ტექნიკური რესურსების პრობლემა პროექტების განვითარების ფაზაში.

შენიშვნა: მოგვარების გზები დეკლარირებული იქნება ტექნიკისა და წარმოების ბლოკის ანგარიშში

<u>7. მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები; უკვე დაწყებულის განვითარება, სხვა).</u>

მიმდინარე სტადიაშია რეკომენდაციის სახით მიღებული და ინიცირებული პროექტების:

☐ სატენდერო წინადადების მომზადება/ტენდერის გამოცხადება.

☐ ტექნიკური რესურსების კომპლექტაცია.

მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

2017 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში მედიისა და კომუნიკაციის ბლოკმა არაერთ პროექტზე იმუშავა. წარმოგიდგენთ ბლოკის მიერ განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვნი სამუშაოს შესახებ მოკლე მიმოხილვას:

საქართველო წელს მასპინძლობს საბავშვო ევროვიზიის საერთაშორისო კონკურსს, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი ახორციელებს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად. პროექტთან დაკავშირებული სამუშაოების დიდი ნაწილი დაგეგმილი და განხორციელებული იქნა მედიისა და კომუნიკაციის ბლოკის მიერ.

მესამე კვარტლის ფარგლებში ბლოკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანას წარმოადგენდა აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება, მათ შორის - ადმინისტრაციული და შემოქმედებითი კუთხითაც.

უმნიშვნელოვანესი იყო ონლაინ მედია სამსახურის მიერ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ვებპორტალის ძირითად ფუნქციურ და პროგრამულ მხარეებზე მუშაობის დასრულება. ვებპორტალი ამჟამად, ტესტირების ეტაპზეა.

17 ივლისს დასრულდა სატელევიზიო სეზონი და I არხი საზაფხულო პროგრამირებაზე გადავიდა. განხორციელდა „ევრობასკეტ 2017“-ის ტრანსლაცია, რაც რეიტინგზე დადებითად აისახა.

მარკეტინგის სამსახურის მიერ ძალზე დიდი მოცულობის სამუშაო იქნა შესრულებული პროექტისთვის - ,, სპორტული რიტმი საზოგადოებრივზე ‘’ , რომელიც მიმდინარე წლის 9 ივლისს ლისის ტბაზე ჩატარდა. ღონისძიების მიზანი მაუწყებლის ექსკლუზიური სპორტული პროდუქტების გაცნობა და პოპულარიზაცია გახლდათ. საერთო ჯამში, ღონისძიებას დაესწრო და აქტივობებში მონაწილეობა 3000-მდე სტუმარმა მიიღო.

წარმატებით განხორციელდა ტელევიზიის ახალი შენობის არქიტექტურული პროექტის კონკურსის პრომოცია და მასთან დაკავშირებული სამუშაოები.

სექტემბერში, საზოგადოებრივმა რადიომ კვალიფიციურ სუბიექტებს რეგიონებში საარჩევნო პროგრამებისა და კანდიდატების პრეზენტაციის ცალკე ფორმატი შესთავაზა.

მომზადდა ანგარიშები საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში ასახული დადგენილებების და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ. მათ შორის,

გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებების დაცვის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მრავალფეროვნების საკითხების გაშუქების თემებზე.

ივლისის ბოლოსთვის ბლოკში დასაქმებული იყო 84 ადამიანი, აგვისტოს ბოლოს მათი რაოდენობა 86 გახდა, ხოლო მესამე კვარტლის დასასრულისთვის (31 სექტემბერი) ბლოკს 91 თანამშრომელი ჰყავს.

ანგარიში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია, მესამე კვარტლის განმავლობაში, ბლოკის დაქვემდებარებაში არსებული თითოეული სამსახურისა თუ ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ.

ცვლილებები ბადეში

საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხზე ივლისში, კერძოდ, 17 ივლისს, დასრულდა 2016-17 წლების სატელევიზიო სეზონი.

I არხი გადავიდა საზაფხულო პროგრამირებაზე. არხის საზაფხულო პროგრამირება ითვალისწინებდა საბავშვო და ახალგაზრდა მაყურებლისთვის კონტენტის წილის გაზრდას, მეტი დრო დაეთმო ანიმაციას და ახალგაზრდულ სერიალს. ეთერში განთავსდა მეტი მექანიკური პროდუქცია, როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური. მექანიკურმა პროდუქციამ ბადის დიდი წილი დაიჭირა. ორიგინალური გადაცემებიდან I არხის ეთერში დარჩა საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ და „სპორტის დაფა“. ეთერში განთავსდა გადაცემათა განმეორების ზოლი. ამ ზოლის ფარგლებში გამეორდა „ტელებლოგი“, „ეპოქა“, „შაბათ საღამოს ლიზასთან ერთად“. ყოველდღიურ ეთერში რეტრო ფილმების ზოლი გაჩნდა, სადაც შეირჩა ფილმები, რომელთა ეკრანებზე გამოსვლიდან 50 წელია გასული.

ზაფხულში მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტის წილი. როგორც პირველი, ისე მეორე არხის ეთერი დაეთმო კონფედერაციის თასს ფეხბურთში, 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს ფეხბურთში, რომელიც საქართველოში ჩატარდა და ასევე საკალათბურთო ასპარეზობებს. კალათბურთით დატვირთული იყო აგვისტოს თვე: პირველმა არხმა მაყურებელს შესთავაზა მერიის თასის ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირის ტრანსლაცია, ლიტვის საერთაშორისო ტურნირისა და აკროპოლისის თასის პირდაპირი ტრანსლაციები. ცალკე უნდა აღინიშნოს „ევრობასკეტ 2017“, რომელიც ჩატარდა ისრაელსა და თურქეთში (31 აგვისტო-17 სექტემბერი). ამ ტურნირმა გამოიწია სამაუწყებლო ბადეში მნიშვნელოვანი ცვლილებები. განხორციელდა 31

მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია. მაყურებლის დიდი დაინტერესება ამ ტურნირის და, განსაკუთრებით, საქართველოს ნაკრების თამაშების მიმართ აისახა მნიშვნელოვნად გაზრდილ რეიტინგსა და გულშემატკივართა გამოხმაურებაზე. სპორტული ასპარეზობების აუდიტორიამ სექტემბერში 712’585 შეადგინა; წინა თვეებთან (აგვისტო) შედარებით, სექტემბრის რეიტინგი გაიზარდა 112%-ით.

18 სექტემბრიდან პირველი არხის ეთერში განთავსდა გადაცემა „თვითმმართველობა 2017“, რომელიც კვირაში სამჯერ- ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს საქართველოს თვითმმართველი ქალაქებიდან გვთავაზობს დებატებს მერობის კანდიდატებს შორის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხი - 17 ივლისს დასრულდა სატელევიზიო სეზონი მეორე არხზეც. არხი რეორგანიზაციის ფაზაშია. ამდენად II არხზე დაპარალელდა საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო, პერიოდულად არხზე გადაიცემა პარლამენტის სხდომები და სპორტული ასპარეზობები.

მარკეტინგის სამსახური

მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებით, შიდა და გარე კომუნიკაციის დასამყარებლად, დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი პროექტები:

ივლისი	
9 ივლისი - „ სპორტული რიტმი საზოგადოებრივზე ‘’	იდეა/ მთავარი გზავნილი /დაგეგმვა/შესრულება. ლოკაციის სრული ბრენდირება. ევრობასკეტ 2017-ის პრეკამპანია. მასკოტის დამზადება/პრეზენტაცია.. სასაჩუქრე პაკეტების შემუშავება/განხორციელება. კორპორაციული ატრიბუტიკის შემუშავება/ბრენდირება. ყველა სამაუწყებლო პლატფორმის დაბრენდვა. ბანერი/ქავერი/ტიხარი/. პრე-კამპანია სამაუწყებლო არხებზე და სოციალურ პლატფორმებზე.
23 ივლისი	FIBA 2017 ის საზეიმო დახურვა. ლოკაციის ბრენდირება. მასკოტის მონაწილეობა. მაისურების დაბრენდვა.

ევრობასკეტ 2017-ის პრეკამპანია - "ტროფი-ტური"	სოც/ვებ/ეთერი ათვისება/ბრენდინგი /მანქანის ბრენდირება/კინოთეატრებში პოპ-კორნის ყუთების ბრენდირება.
კალენდარი	შიდაკორპორაციული მოვლენების, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი თარიღების, დღესასწაულებისა და საერთაშორისო დღეების, ახალი და მიმდინარე პროექტების საკვანძო მოვლენების ინტეგრაცია ერთ კალენდარში.
აგვისტო	
მერიის თასი	კონცეფცია/სლოგანი/ვიზუალური გაფორმება - ვიდეორგოლები. მასკოტის მონაწილეობა. გაშუქება ყველა პლატფორმაზე. მაისურების დაბრენდვა.
შიდაკორპორაციული კომუნიკაციის განმტკიცება	შიდასტრუქტურული აქტივობებისთვის, სეგმენტებად დაიყო და მომზადდა შესაბამისი ფეისბუქ შაბლონები. სტრუქტურული ცვლილება /სიახლეები/ დაბადების დღეები/ მაუწყებლის მნიშვნელოვანი მოვლენები
ევროვიზია	საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, ყველა შიდა და გარე ინტერნეტ პლატფორმების ათვისება. ცნობადობის ამაღლების და მაყურებლის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, შემუშავდა ევროვიზიის კორპორაციული შაბლონები და დაიგეგმა კროსპრომოუშენი. მომზადდა და ეთერში განთავსდა პრომო-რგოლები. დაიგეგმა საინფორმაციო კამპანია.
31 აგვისტო - 17 სექტემბერი ევრობასკეტ 2017-ტრანსლაცია	საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, ყველა სამაუწყებლო პლატფორმის ბრენდირება. წამყვანი სპორტსმენების "პროფაილების" დამზადება, მაისურების დაბრენდვა.
თვითმმართველობა 2017	სოც/ვებ/ეთერი ათვისება/ბრენდინგი/პრომოუშენი.

ვებგვერდის პრომოუშენი	იდეა/“პრეზენტაციის“ ფორმატის განსაზღვრა /განხორციელება.
სექტემბერი	
ახალი სეზონის დაგეგმვა	გადაცემების ავტორებთან კომუნიკაცია, სტრატეგიის დაგეგმვა.პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპის, პასუხისმგებელი პირების და ვადების განსაზღვრა სისტემატიზაცია.
დოკუმენტური ფილმების იდეების სივრცე	იდეების სივრცე - ბრენდინგი, პრომოუშენი
სოციალური ქსელის აქტივობები	ახალი და მიმდინარე გადაცემებისთვის/გვერდებისთვის ბანერების დამზადება. ფეისბუქისთვის გადაცემების საკომუნიკაციო შაბლონების მომზადება. დაიწყო მუშაობა ახალ ვებ-პორტალზე განსათავსებელ ბანერებსა და შაბლონებზე.
შენობის არქიტექტურული პროექტის კონკურსის პრომოუშენი	დაგეგმვა/ბრენდინგი/განხორციელება

პიარი და კომუნიკაცია

2017 წლის მესამეკვარტალში პერმანენტულად მზადდებოდა ორგანიზაციის ვებგვერდზე განსათავსებელი განცხადებების პროექტები. ასევე - პრესრელიზები მაუწყებელში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით, რომლებიც ვრცელდებოდა მედია საშუალებებში.

მედიამხარდაჭერა გაეწია საქართველოში გამართულ მნიშვნელოვან კულტურულ ღონისძიებებს. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილების დამუშავება და უკუკავშირის განხორციელება, მათთან საპასუხო კომუნიკაციისა და საკითხების სხვადასხვა გადაცემებში გაშუქების გზით.

მომზადდა ანგარიშები საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ცნობიერების ამაღლების და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით შესრულებულ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში ასახული დადგენილებების და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ. კერძოდ:

ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციისთვის „საფარი“:

- ☐ საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში რეკომენდაციების შესრულების შესახებ
- ☐ საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის 2016-2017 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის ფარგლებში რეკომენდაციების შესრულების შესახებ
- ☐ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში რეკომენდაციების შესრულების შესახებ

მედიის განვითარების ფონდისთვის 2016 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებში ასახული მრავალფეროვნების საკითხების გაშუქების შესახებ ანგარიში.

დეტალურად:

განცხადებები და პრესრელიზები

2017 წლის მესამე კვარტალში პერმანენტულად მზადდებოდა ორგანიზაციის ვებ გვერდზე განსათავსებელი განცხადებების პროექტები. ასევე - პრესრელიზები მაუწყებელში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით, რომლებიც ვრცელდებოდა მედიასაშუალებებში.

„მომავლის მემკვიდრეობა“-გერმანია-საქართველოს წელი 2017“

პირველმა არხმა მედიამხარდაჭერა გაუწია გერმანიის საელჩოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებათა ციკლს „მომავლის მემკვიდრეობა“-გერმანია-საქართველოს წელი 2017“, რომლის ფარგლებშიც მაუწყებლის სხვადასხვა პლატფორმებსა და გადაცემებში პერმანენტულად შუქდებოდა პროექტის შემადგენელი ღონისძიებები.

საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი Biaff

პირველი არხის მედიამხარდაჭერით 17 -24 სექტემბერს ბათუმში გაიმართა საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი. საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ პერმანენტულად აშუქებდა ფესტივალის ფარგლებში მიმდინარე სიახლეებს, ასევე პირველი არხის ვებგვერდზე თავსდებოდა შესაბამისი მასალები.

იდეების სივრცე-ვებ პორტფელი

სექტემბრის თვეში შეიქმნა დოკუმენტური ფილმების იდეების სივრცე-ვებ პორტფელი, ორგანიზება გაეწია აღნიშნული სიახლის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მედიაში. გარდა ამისა, დაიგეგმა პროექტის პრეზენტაცია ბათუმში, საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის „Biaff"ფარგლებში.

2017 წლის საბავშვო ევროვიზია

2017 წლის საბავშვო ევროვიზიის საკომუნიკაციო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა.

მედიაში, ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში განსათავსებელი მასალის მომზადება და გავრცელება.

2017 წლის საბავშვო ევროვიზიის ქართველი მონაწილის და საკონკურსო სიმღერის შესარჩევად შექმნილი ჟიურისთვის ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება. კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა პლატფორმებზე.

საერთაშორისო მიმართულება

- ☐ BBC-თან თანამშრომლობა
  საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოლაპარაკებები დაიწყო BBC-თან შესაძლო თანამშრომლობაზე სხვადასხვა კუთხით.
- ☐ ევროპის საბჭოს ტრეინინგები
  ევროპის საბჭოს ორგანიზებით საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს წინასაარჩევნოდ ტრეინინგები ჩაუტარდათ
- ☐ ადამი დიალოგი
  საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის და ვებგვერდის თანამშრომლები „ადამი დიალოგის" ფარგლებში ბაქოსა და ერევანში სემინარებს დაესწრებიან
- ☐ საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმი „ლექცია"
  საზოგადოებრივი მაუწყებელი მოლაპარაკებებს აწარმოებს დოკუმენტური ფილმის „ლექცია" საერთაშორისო მასშტაბით ჩვენებაზე.

კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

- ☐ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი.

მონიტორინგი ხორციელდება “people meters”-ების საშუალებით. 2016 წლიდან ქართულ ბაზარზე შემოვიდა ახალი მთვლელი „ტრი მედია ინტელიჯენსი“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და გაიმარჯვა. წლის დასაწყისიდან ჩვენ ვიყენებთ პროგრამას „infosyc”

- ☐ ყოველდღიურად მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად, ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, მიღებული მონაცემები ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.
- ☐ გადაცემების პროდიუსერებს, ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, ანალიზდება კონკურენტული გარემო, მიმდინარეობს კონსულტაციები
- ☐ ევროპის მაუწყებელთა კავშირის წევრობა გვავალდებულებს ყველა საერთაშორისო პროექტის ჩვენების შემდეგ გავაგზავნოთ სარეიტინგო მონაცემები, მომზადდა და გაიგზავნა 2017 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბრის ყველა სპორტული ღონისძიების ანგარიში (ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, ევროპის ლიგა ფეხბურთში ცხრამეტწლამდელები). ანგარიშები მომზადდა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნის შესაბამისად.
- ☐ ევროპის მაუწყებელთა კავშირის ყოველწლიური გამოკითხვისთვის მომზადდა ანგარიში ქართული სატელევიზიო ბაზრის შესახებ: კონკურენტი არხების ანალიზი; აუდიტორიის დემოგრაფიული სურათი.
- ☐ ევრობასკეტ 2017-თან დაკავშირებით, მომზადდა სპორტული აუდიტორიის შედარებითი ანალიზი.
- ☐ მარკეტინგის სამსახურის კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აგრძელებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემების მონიტორინგს.
- ☐ გაკეთდა კონკურენტი არხების საინფორმაციო გამოშვებების სარეიტინგო მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი, მონაცემთა ვარიაციის კოეფიციენტების გამოთვლა.
- ☐ BBC-ს მიერ შემოთავაზებული გადაცემებიდან, რადიოს თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით შეირჩა გადაცემები საზოგადოებრივი რადიოს ეთერისთვის.
- ☐ რაგბის კავშირის მოთხოვნის საფუძველზე მომზადდა სპორტული ტრანსლაციების, ჩართვების და სპორტული პროგრამების სარეიტინგო მონაცემები.
- ☐ კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2018 წლის სეზონის მექანიკური პროდუქციის (მხ.ფილმები, სერიალები) შერჩევის პროცესში. პროცესი გულისხმობს: შემოთავაზებული პროდუქციის შესწავლას, განხილვას და შეფასებას.
- ☐ ახალი სეზონისთვის გრძელდება საბავშვო ტელეპროდუქციის (საბავშვო და ახალგაზრდული სერიალები, მულტფილმები) შერჩევა და ტესტირება.

სარეკლამო ჯგუფი

• მომსახურეობა გაეწია სოციალურ, კომერციულ და უფასო პოლიტიკურ რეკლამებს, მაუწყებლის პირველ, მეორე და რადიო არხებზე:

ივლისი 2017

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
შპს „ბიბლუსი“		280.04
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		951.60
ჯამი:		**1 231.64**

ტელე განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
ააიპ„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		10 000.00
ჯამი:		**10 000.00**

აგვისტო 2017

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
ააიპ „საქართველოს კალათბურთის ფედერაცია“	2 000.00	
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		6 661.20
ჯამი:	**2 000.00**	**6 661.20**

ტელე განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
შპს „შანსი მეგა თრეიდ კომპანი“	7 656.00	
შპს „ბესტჰაუსი“	8 575.00	
შპს „ცოდნისა“	1 040.00	
შპს „პრომედია“	533.00	
ააიპ„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		20 000.00
ჯამი:	**17 804.00**	**20 000.00**

სექტემბერი 2017

ბარტერი		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		14 749.80
ჯამი:		**14 749.80**

ტელე განთავსება		
დამკვეთი	**თანხა აშშ დოლარში**	**თანხა ლარში**
შპს „შანსი მეგა თრეიდ კომპანი“	30 244.00	
შპს „ცოდნისა“	4 160.00	
შპს „ბესტჰაუსი“	49 662.49	
შპს „პრომედია“	7 467.00	
ააიპ„საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“		15 000.00
საქ. ცენტრალური საარჩევნო კომისია		7 948.80

საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო		1 447.20
ჯამი:	**91 533.49**	**24 396.00**

ვიზუალური გაფორმების ჯგუფი

მესამე კვარტლის განმავლობაში,ვიზუალური გაფორმების სამსახურმა იმუშავა შემდეგ ახალ პროექტებზე:

- ☐ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი, ,,თბილისი, ლისი, 9 ივლისი'' ღონისძიებისათვის -პრომოს გადაღება, ანონსირება და ვიზუალური გაფორმება.
  ვების შეფუთვა, გარე შეფუთვა.
- ☐ ,,თვითმმართველობა 2017'' - დამზადდა პრომორგოლი, ლოგო, ქუდი, შეფუთვა, მოკლე საინფორმაციო ვიდეოები და პრომოუშენი.
- ☐ ,,ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს''- გადაღებების დაგეგმვა, მოკლე ვიდეო რგოლების დამზადება და ვიზუალური გაფორმება.
- ☐ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამშენებლო პროექტის პრომოები: ტენდერზე გამოცხადების პრომო ,ინფოგრაფიკა, ხმის მიცემის პრომო. ვებგვერდისთვისთვის - დიზაინი და შეფუთვა.
- ☐ საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ვებგვერდის 1TV.GE – საპრეზენტაციო ვიდეო რგოლის გადაღება, მონტაჟი.
- ☐ ახალი პროექტების წამყვანების საიმიჯო პრომო - მაკა ცინცაძე, გიორგი გვიმრაძე, ირაკლი აბსანძე.
  გადაცემა ,,წიგნების თარო ''- პრომო (კონკურსის) , ასევე ვების შეფუთვა და პრომოები.
- ☐ ,,Eurobascket''-თვის დამზადდა ორი პრომო, ტიხრები, ანონსების ახალი შეფუთვა და მიმდინარეობდა ყოველდღიური ანონსირება.
- ☐ დოკუმენტური ფილმების იდეების სივრცე - პრომო ანონსი და ვების სრული შეფუთვა.
- ☐ გადაცემა ,,ილუზიონი'' - პრომოს გადაღება , ქუდი.
- ☐ გადაცემა ,,რანინა''- ქასთინგის პრომო და ვების პრომოები.
- ☐ ,, ევროვიზია 2017'' - ევროვიზია საქართველოში - პრომო, სიმღერის კონკურსის პრომო, მომღერლების კონკურსის პრომო, წამყვანების კონკურსის პრომო და პრომოუშენი.
- ☐ ლიტერატურული პრემია ,,საბა ''- პრომუშენი
- ☐ გადაცემა ,,ფერმა''-ს პრომოს გადაღება-მონტაჟი. რუბრიკების დიზაინი.
- ☐ პროექტი ,,ილია ჭავჭავაძე'' - დამზადდა ვიდეო რგოლები.
- ☐ ჩემპიონთა ლიგა - რეკლამები და მიმდინარე ანონსები.
- ☐ საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში- ყოველკვირეული ანონსები.
- ☐ საქართველოს ნაკრების 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ანონსი.

მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახური

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მზა პროდუქციის შესყიდვის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. საეთერო ბადისთვის მზადდება უკვე შესყიდული კინოპროდუქცია (სერიალები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები). ჯგუფი პრომოუშენის სამსახურს რეგულარულად აწვდის ახალი სერიალების მასალებს და ანოტაციებს სარეკლამო რგოლების დასამზადებლად. ასევე, ეტაპობრივად გრძელდება უკვე არსებული კონტრაქტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებების შესრულება (თანხების გადარიცხვა) და შესყიდული მასალის მიღება და გახმოვანება.

ამჟამად, მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახური მუშაობს მომავალი სეზონისთვის ახალი კინოპროდუქციის შერჩევაზე. მიმდინარეობს მზადება კანის საერთაშორისო ტელეგაზრობისთვის , იგეგმება შეხვედრები სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან, შერჩევის პროცესშია მხატვრული ფილმების ახალი პაკეტები.

სისტემატურად ხდება სპორტული ღონისძიებების ტრანსლირების ლოჯისტიკური მომზადება და მუშაობა მიმდინარე სპორტულ პროექტებზე.

მესამე კვარტალში განხორციელდა ევრო ბასკეტი 2017-ის ფარგლებში მატჩების პირდაპირი ტრანსლირება ისრაელიდან და თურქეთიდან.

დაიწყო ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის თამაშების ტრანსლაცია პირდაპირ ეთერში. ასევე, ფეხბურთში საქართველოს ნაკრების საკვალიფიკაციო თამაშების ტრანსლაცია.

გახმოვანების ჯგუფმა 2017 წლის მესამე კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, მხატვრული და ანიმაციური სერიალები.

უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა გააკეთა 300 საათი.

პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების და სერიალების გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

გარდა ზემოთ ნახსენები პროდუქციისა, ასევე სისტემატურად მიმდინარეობს გახმოვანება ანონსებისთვის და სხვა გადაცემებისთვის.

სამწუხაროდ, კვლავ დგას ტექნიკური სახის სერიოზული პრობლემები, დაკავშირებული სერვერთან, კომპიუტერებთან, პრინტერთან, რომელთა გადაჭრის პროცესი დაწყებულია.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ პორტალი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფმა დაასრულა ახალი ვებპორტალის ძირითად ფუნქციურ და პროგრამულ მხარეზე მუშაობა. ამჟამად მიმდინარეობს ტესტირების პროცესი.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებ გვერდებზე - gpb.ge1tv.ge2tv.geradio1.geeurovision-georgia.getqvi.ge და სხვადასხვა აპლიკაციებზე მუშაობას, მუშაობის პროცესში გაჟღერებული იდეების და კომენტარების გათვალისწინებით. განხორციელდა მომხმარებლის ფუნქციების მაქსიმალური ინტეგრაცია.

1tv.ge - განთავსებულია პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების ორენოვანი მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვა წყაროებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალები, სხვადასხვა გადაცემების ვიდეოარქივი, პოლიტიკური თოქ-შოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა.

www.gpb.ge - საიტზე კვლავ განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სამეურვეო საბჭოს სხდომები და დადგენილებები, საბჭოს სხდომების ვიდეო ვერსიები,კანონმდებლობა და ა.შ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პრესცენტრის გვერდზე განთავსებულია საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული ვიდეო http://gpb.ge/ge/articles/view/75

www.2tv.ge - განთავსებულია მე-2 სატელევიზიო სამაუწყებლო არხის გადაცემები (არქივი), პირდაპირი ეთერი.

www.radio1.ge - განთავსებულია საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემები, აუდიო/ვიდეო არქივი, ანონსები, რადიო 1-ის და რადიო2-ის- www.radio2.ge livemაუწყებლობა აუდიო/ვიდეო.

www.eurovision-georgia.ge; საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით საიტზე განთავსდა კონკურსში მონაწილე კონკურსანტების ფოტოები, ბიოგრაფიები, ახალი ამბები.

tqvi.ge - საიტზე კვლავ განთავსებულია საზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებები.

YouTube-არხები

კვლავ მოქმედებს საზოგადოებრივი მაუწყებლის Youtube არხები. ცალკე არხი ფუნქციონირებს პირდაპირი რეპორტაჟებისთვის და Live-გადაცემებისთვის, არხს ვიყენებთ სპორტული რეპორტაჟების, "მოამბის", სპეციალური გამოშვებების, გადაცემების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებისთვის.

განთავსებულია საინფორმაციო გამოშვებები, სიუჟეტები, თოქ-შოუები, პირველი არხის ყველა ის გადაცემა, რომლებზეც საავტორო უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

სპორტს აქვს ცალკე YouTube-არხი https://www.youtube.com/user/SportGPB

იტვირთება ყველა სპორტული გადაცემა და ყველა სპორტული რეპორტაჟი, რომელთა საავტორო ან მაუწყებლობის უფლებები ეკუთვნის საზოგადოებრივ მაუწყებელს.

საზოგადოებრივი რადიო

საანგარიშო პერიოდში დაიწყო 2017 წლის თვითმმართველობის საარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო პერიოდში რადიოს საინფორმაციო სამსახური, როგორც ინტეგრირებული ნიუსრუმის ნაწილი, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა.

სექტემბერში საზოგადოებრივმა რადიომ კვალიფიციურ სუბიექტებს რეგიონებში საარჩევნო პროგრამებისა და კანდიდატების პრეზენტაციის ცალკე ფორმატი შესთავაზა.

პროგრამა ***ღია სტუდია*** დაეთმო 12 კვალიფიციურ სუბიექტს, რეგიონებში საარჩევნო პროგრამებისა და კანდიდატების პრეზენტაციისათვის. პროგრამა ***საღამოს პიკის საათი*** კი მიეძღვნა თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნებს. პროექტში მონაწილე 9 კვალიფიციური (მათთან გათანაბრებული) სუბიექტის მერობის კანდიდატები ან სიით პირველი ნომრები საუბრობენ მათ საარჩევნო პროგრამებსა და კანდიდატებზე.

გარდა ამისა, ***საზოგადოებრივი რადიო 1***-ის ეთერი ეთმობა ტელედებატებს ***თვითმმართველობა 2017,*** რომელიც კვირაში სამჯერ იმართება.

საანგარიშო პერიოდში ***საქართველოს ტელერადიოცენტრმა*** გორში აამუშავა ***რადიო 2***-ის ორკილოვატიანი გადამცემი. 9 წლიანი პაუზის შემდეგ ***რადიო 2*** აღარ ისმის მხოლოდ თბილისის მასშტაბით. ***რადიო 2*** თბილისშიც და გორშიც მაუწყებლობს სიხშირეზე FM100,9.

საქართველოს ტელერადიოცენტრმა ასევე აღადგინა ***საზოგადოებრივი რადიო 1***-ის მაუწყებლობა ლენტეხში. დღეისათვის ***საზოგადოებრივი რადიო 1*** მაუწყებლობს 20 გადამცემით. ახალი გადამცემები აღჭურვილია RDS სისტემით, რაც არხის იდენტიფიცირების საუკეთესო საშუალებაა. RDS სისტემა ასევე უზრუნველყოფს რადიო მიმღების გადართვას ავტომატურ რეჟიმში ავტომაგისტრალის გასწვრივ უწყვეტი მიღებისათვის. დღეისათვის RDS სისტემები დამონტაჟებულია 9 სამაუწყებლო ზონაში.

წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

1. ტექნიკური გადაიარაღების გეგმიდან დამუშავდა განათების პროექტი და გაიგზავნა ბაზრის კვლევაზე.

2. დასრულდა პირველი კორპუსის III სართულზე ნიუს რუმის ელეტრო გაყვანილობის სამუშაოები და ტენდერზე ჩაეშვა III სართულის ქსელის ინფრასტრუქტურა.

3. ბაზრის კვლევისთვის მომზადდა ტექნიკური გადაირაღების ერთ-ერთი პუნქტი - გავრცელება, რაც მოიცავს, პირდაპირი ჩართვის აპარატების და მოძრავი სატელიტური სადგურის განახლებას.

4. დასრულდა კამერების შესაძენი ტენდერი, რომლის მოწოდების ვადა იწურება 15 დეკემბერს . შეძენილია 41 კამერა - როგორც საინფორმაციო გამოშვებისთვის, ასევე სხვადასხვა გადაცემებისა და პრომო ჯგუფისთვის.

5.პირველმა არხმა შეიძინა 10 ცალი GSM/4G სისტემის Live-U ციფრული ვიდეო სიგნალის გადამცემი და ამავე სისტემის 3 ცალი ორ არხიანი მიმღები მოწყობილობა. მოხდა ზემოაღნიშნულ გადამცემებში GSM ბარათების ინსტალაცია, გატესტვა და მისი დაკომპლექტება, რის შემდეგ ისინი გადაეცა საინფორმაციო სამსახურს ექსპლუატაციისთვის.

6. დამუშავდა და ტენდერზე ჩაეშვა ახალი სეზონის გადაცემებისთვის განსაზღვრული დეკორაცია.

7. 9 ივლისს წარმატებით ჩატარდა ლისის ტბაზე გასვლითი ღონისძიება.

8. წარმატებით დასრულდა წინა საარჩევნო გასვლითი პროექტი, კერძოდ, გადაცემა „თვითმართველობა 2017“, რომელშიც საქართველოს 12 დიდი ქალაქი იყო ჩართული. (ჯამში 14 გადაცემა).

9. წარმატებით დასრულდა ტენდერი საიტის ჰოსტინგის და სტრიმინგის მომსახურებაზე, დაიტესტა და ნოემბრიდან ჩაეშვება წარმოებაში.

10. დასრულდა არქივისთვის საძიებო პროგრამის ინსტალაცია. არსებული მოთხოვნის საფუძველზე, არქივისთვის შეიქმნა და აიწყო ახალი სერვერი VMware ვირტუალურ გარემოში. სერვერი დაკონფიგურირდა უახლესი სისტემით და გაეშვა SQL 2016 სერვისები. მოთხოვნის შესაბამისად მოძველებული სერვისებიდან, რომელიც გაშვებული იყო windows 2003 -ზე მთლიანი ბაზა მიგრირებულ (გადატანილ) იქნა ახალ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სისტემაზე. დღესდღეობით ბაზის გადატანის და განახლების პროცესები ისევ მიმდინარეობს, ასევე გაშვებულია რამდენიმე სერვისი სატესტო რეჟიმში, რომელიც ამ ეტაპისთვის წარმატებით სრულდება. შედეგად მივიღებთ ახალი ამბების სამსახურის და საერთო არქივის გაერთიანებულ ბაზებს, ახალი HTTP - პროტოკოლზე მუშაობის საძიებო სისტემით.

11. დაზიანდა უწყვეტი კვების წყარო რაც პრობლემას უქმნის საინფორმაციო სამსახურის და გამოშვების ეთერში უხარვეზოდ გასვლას, შესაბამისად მომზადდა სატენდერო ტექნიკური დავალება უწყვეტი კვების წყაროს შეძენაზე. ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია IV კარტალში.

12. მონიტორინგის სამსახურის დაარსება და მათვის აპარატურით უზრუნველყოფა.

მიმდინარე საკითხები

1. IV კარტალში დასრულდება ყველა გადაცემის გადანაწილება სტუდიების მიხედვით საჭიროების შემთხვევაში გამოცხადდება ტენდერები მათი ტექნიკური უზრუნველყოფისთვის აპარატურის ქირავნობაზე.
2. IV კარტალში დაგეგმილია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ინტერნეტ რადიოს ტექნიკური უზრუნველყოფა სტუდიებით.
3. III კვარტალში დაიწყო და IV კვარტალში გაგრძელდება საბაშვო ევროვიზიის კონკურსის პროექტისთვის ტექნიკური უზრუნველყოფა რაც გულისხმობს : საბავშვო ევროვიზიის გახსნის ცერემონიალის სრულ ტექნიკურ უზრუნველყოფას და პირდაპირ ტრანსლაციას, მთავარ ლოკაციაზე პრესცენტრების მოწყობას, პრესკონფერენციების პირდაპირ ტრანსლაციას და მთავარი კონცერტის პირდაპირი ტრანსლაციას, ასევე ტექნიკური და წარმოების ჯგუფის თანამშრობლების უზრუნველყოფას.
4. დაიწყო მზადება განახლებული საინფორმაციო გადაცემის, პოლიტიკური გადაცემის და თვითმართველიობის არჩევნების ტექნიკური უზრუნველყოფაზე .
5. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ დაგეგმილი და შეთანხმებული იქნა შპს „ტელერადიოცენტრთან“ სატელევიზიო „მეორე არხის“ მაღალი გარჩევადობის HD ფორმატში გავრცელების პროექტი. პროექტი ითვალისწინებს შპს „ტელერადიოცენტრის“ სათაო სადგურისათვის დამატებითი HD ლიცენზიის შეძენას, დაინსტალებას და ტესტირებას 2018 წლის მარტამდე, რათა მომავლ წელს „მეორე არხის“ პროგრამები გავრცელდეს მაღალი გარჩევადობის ფორმატში.
6. გავრცელების კონტროლის სამსახურში შემოსული ზარების მიხედვით აღინიშნებოდა ტელე-მაუწყებლობის წყვეტა მარტვილის ზონაში, რაც შპს „ტელერადიოცენტრის“ ტექნიკური ადმინისტრაციის ინფორმაციით უკავშირდებოდა დაზიანებას კალამანას მთაზე განლაგებული გადამცემი საიტის აპარატურაში. დაზიანება ამჟამად აღმოფხვრილია.
7. 2017 წლის აგვისტოში, საზოგადოებრივ მაუწყებელთან შეთანხმებით, შპს „ტელერადიოცენტრის“ მიერ, აღდგენილი და ჩართული იქნა რადიო 2-ის პროგრამის გადამცემი ქ. გორის მიმდებარე სამაუწყებლო ზონაში.
8. მაუწყებლის და შპს „ტელერადიოცენტრის“ ხელმძღვანელების მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა, რომელზეც დაიგეგმა ციფრული სატელევიზიო DVB-T2 ქსელის მეშვეობით გავრცელებული პროგრამების შეღწევადობის და იოლი წვდომისათვის აუცილებელი პარამეტრების შემდგომი ოპტიმიზაცია. დაიგეგმა რადიოს სამაუწყებლო ქსელის შემდგომი მოდიფიკაციის პრიორიტეტული მიმართულებები. ამავე შეხვედრაზე განხილულ იქნა საკითხი აღნიშნული ქსელების დაფარვის ხარისხის და მომსახურების უწყვეტობის ერთობლივი მონიტორინგის შესახებ.
9. მაუწყებლის და შპს „ტელერადიოცენტრის“ ხელმძღვანელების მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა, რომელზეც დაიგეგმა ციფრული სატელევიზიო DVB-T2 ქსელის მეშვეობით გავრცელებული პროგრამების შეღწევადობის და იოლი წვდომისათვის აუცილებელი პარამეტრების შემდგომი ოპტიმიზაცია. დაიგეგმა რადიოს სამაუწყებლო ქსელის შემდგომი მოდიფიკაციის პრიორიტეტული მიმართულებები. ამავე შეხვედრაზე განხილულ იქნა საკითხი აღნიშნული ქსელების დაფარვის ხარისხის და მომსახურების უწყვეტობის ერთობლივი მონიტორინგის შესახებ.

10. ტექნიკური კონტროლის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკვლეულ იქნა FM რადიომაუწყებლობის და ციფრული DVB-T2 ტელემაუწყებლობის ხარვეზების თუ წყვეტის მთავარი მიზეზები. როგორც აღმოჩნდა, რადიომაუწყებლობაში პრობლემები უმთავრესად პროგრამების მიწოდების ქსელში გამოყენებული მიმღები მოწყობილობების არამდგრადი მუშაობითაა გამოწვეული, ხოლო სატელევიზიო მაუწყებლობაში, ქსელის შეღწევადობის განმსზღველი არაოპტიმალური პარამეტრებით. მიდინარეობს მუშაობა ორივე მიმართულებით არსებული ხარვეზების ამოსაფხვრელად.

11. სერვერი მიმდინარე არჩევნებისთვის

მიმდინარე ოქტომბრის არჩევნებისთვის, მოთხოვნის შესაბამისად ვირტუალურ გარემოში აიწყო და დაკონფიგურირდა ახალი სერვერი, რომელზეც გაეშვა და დაინსტალირდა MySQL და MsSQL სერვისები, სერვისევის გაშვება მოხდა ახალ თანამედროვე სტანდარტების მქონე server 2016 -ზე. ასევე სერვეზე გაეშვა Apache (web) სერვისიც. არსებულ სერვერზე წვდომა მიეცათ პროგრამისტს და მემონტაჟე გრაფიკოს, ინფორმაციის და სერვისის უსაფრთხოებისთვის სხვა წვდომები შეზღუდულია.

12. 1tv.ge ზონის გადატანა

საიტის რეკონსტრუქციამ და ახალი პროვაიდერის შემოსვლამ გამოიწვია DNS - ს ზონებში ცვლილებები, კერძოდ მხოლოდ 1tv.ge - ს ზონა რომელიც დღემდე ჩვენი კონტროლის ქვეშ იყო გადავიდა Cloud9 - ში. ეს ცვლილება მოხდა ტექნიკური მოთხოვნის და შეთანხმების საფუძველზე. ასევე ამავე დომეინისთვის მოხდა NS - ჩანაწერების ცვლილება ახალი კომპანიის მოთხოვნის შესაბამისად. ცვლილებებამ ,წარმატებით ჩაიარა და მოხდა მაქსიმალურად მცირე დროში და ღამის საათებში Ns- ჩანაწერების გადატანა, რათა არ მომხდარიყო საიტის გაჩერება სამუშაო დროის ინტერვალში.

მომავალი კვარტლის გეგმები

1.ტენდერის გამოცხადება შემდეგ კვარტალზე სტუდიებისთვის ახალი ეკრანების შეძენაზე

2. III კვარტალში დამზადებული განათების შეძენა

3. III სართული ნიუს რუმისთვის კომპიუტერული უზრუნველყოფის შეძენა

4. გადაცემებისთვის სამონტაჟო კომპიუტერების შეძენა

5. ბაზრის კვლევისთვის სატენდერო დოკუმენტაციის დასრულებან ნიუს რუმის სასერვერო სისტემისთვის, სააპარატოსთვის, ცენტრალური სააპარატოსთვის და III სართულის ნიუს რუმის სატელევიზიო ქსელისთვის.

იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2017 წლის მე-3 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 206 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**ფ/პ მამუკა გერმანიშვილი**	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.** კომპენსაციის ნაწილში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მ. გერმანიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო, სახ. ბაჟის სახით - 120 ლარის ანაზღურება. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით. **_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მ. გერმანიშვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე** _ მ. გერმანიშვილის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც ამ ეტაპზე იხილავს საკითხს საჩივრის სდასაშებობის შესახებ
2.	**ფ/პ გიორგი**	კომპენსაციის	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო

	ბაქრაძე	(განაცდურის) ანაზღაურება	სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში _ სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა ა/წ 8 ივნისს, თუმცა, მოსარჩელემ დააზუსტა და გაზარდა მოთხოვნა (გარკვეულწილად სასამართლოს დახმარებით), რის გამოც, წარმოადგინა დაზუსტებული სარჩელი და მოითხოვა: 1) კომპენსაციის სახით 185 000 ლარის გადახდა სამსახურში თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის გამო და 2) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენ. დირექტორის იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც მან სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების გარეშე გაათავისუფლა სამსახურიდან
3.	**ფ/პ ილია ნატროშვილი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	**_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.** _ ი. ნატროშვილის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში
4.	**ფ/პ ვახტანგ კანდელაკი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
5.	**ფ/პ ეკატერინე მიშველაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება, საურავის დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუღებელი	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ: **ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და** **ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მიშველაძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 30 000 ლარის ოდენობით.** _ სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში

		ხელფასის გამო	
6.	**ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
7.	**ფ/პ ბესიკ შარაშიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
8.	**ფ/პ მანანა სარალიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
9.	**ფ/პ ქეთევან გოგაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
10.	**ფ/პ გაგა მოდებაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
11.	**ფ/პ ნათია ბერსენაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

12.	**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო**	საჯარო ინფორმაციის გაცემა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
13.	**ფ/პ ლაშა მესხი**	1) შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით; 2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3) სამსახურში აღდგენა; 4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება; 5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
14.	**ფ/პ ავთანდილ ძიძიგური**	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
15.	**ფ/პ ნუგზარ რუხაძე**	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
16.	**ფ/პ მზია ზაუტაშვილი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.

		ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	
17.	**ფ/პ ნათია ჯანაშია და ბრიტანულ ქართული აკადემია**	ცილისმწამებლური განცხადების უარყოფა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**შპს "Georgian Water & Company"**	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
2.	**შპს "ტიფლის ტვ"**	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
3.	**შპს "სამაუწყებლო**	ძირითადი დავალიანების და	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

	კომპანია რუსთავი 2“	პირგასამტეხლოს სდაკისრება	კოლეგიის წარმოებაში

2.3.

4. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

☐ <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააღსრულებო ფურცლები (და შესაბამისად, სასამართლო წარმოება დასრულებულია) მოვალეების:</u> **შპს “კიკალა სტუდიო ტვ“-ს, შპს “ნიუ-რაციოს“, შპს “ეი-სი ჯგუფი“-ს, “სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი“-ს, შპს “ფენიქსის“, შპს “კინოსტუდია სანგუკო“-ს, შპს “რაქი“-ს, შპს “ლაივ პრომო“-ს, შპს “ტელე-რადიოკომპანია ტვ-7“-ის, შპს “ნონეიმ სტუდიო“-ს, შპს “მილ პოინტი“-ს, შპს “ნ და გ კომპანის“, შპს “S.T. იმპორტი“-ს, შპს “აიბი გრუპი“-ს, ი/მ თამარ კოპალიანის, შპს “მედია ჯგუფი“-ს, შპს ტელეკომპანია “პიკ“-ის, შპს “საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე“-ს, ფ/პ ადა მჭედლიძის, შპს “საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი“-ს, შპს “ამპლიტუდა“-ს, შპს “გრინ ბილდინგი“-ს, შპს “კრეატივ ქორნერი“-ს, შპს “დუტა პროდაქშენ“-ის, შპს “ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი“-ს, ა(ა)იპ “საკალათბურთო კლუბი ვითა“-ს, შპს “პიართაიმი“-ს** და **შპს “ბიოფუდჯორჯია“-ს** მიმართ.

☐ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს “სქაი ჯორჯია“-ს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სასარგებლოდ შპს “სქაი ჯორჯია“-სთვის **14 318,01 ლარი**ს დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს “სქაი ჯორჯია“-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს “სქაი ჯორჯიას“ მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე**.

სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.

წარმოება მიმდინარეობს და ჯერ დასრულებული არ არის.

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცელი **ფიზიკური პირის ფიქრია მიქაბერიძის** მიმართ, რომლითაც ამ უკანასკნელს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა სახ. ბაჟი სახით გადახდილი თანხების ანაზღაურება.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2017 წლის მე-3 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 8 განცხადება, საიდანაც, დაკმაყოფილდა 2 განცხადება, 5 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, 1 განცხადება არ დაკმაყოფილდა (უარის დასაბუთების მიზნით გაკეთდა ასევე შესაბამისი განმარტებები).

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2017 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2017 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

5. სხვა საკითხების შესახებ

სხვა მხრივ, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს და სხვ.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ყველა სამსახური აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში - ახორციელებს ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალის გაშიფვრას, ახალ მატარებელზე გადატანას და ანოტირებას, ასევე უახლესი, მიმდინარე მასალის დაარქივებას.

2017 წლის III კვარტალში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მოამზადა არქივის გაციფრების ბაზრის კვლევისთვის სატენდერო წინადადება ქართულ და ინგლისურ ენებზე სხვადასხვა უცხოურ კომპანიებთან კონსულტაციის შემდეგ. ტენდერის წარმატებით დასრულების შედმგომ საზოგადოებრივი მაუწყებელი შეძლებს, გამოაცხადოს ტენდერი საერთაშორისო კომპანიის მოძიების მიზნით, რომელიც დააკმაყოფილებს საზაგადოებრივი მაუწყებლის არქივის გაციფვრა-შენახვის საჭიროებებს. არქივი აქტიურად განაგრძობს მუშაობას, რათა საკუთარი რესურსით გაციფროს არსებული ფონდების თუნდაც უმცირესი ნაწილი მაინც.

დაქირავებული კომპანიის თანამშრომლებთან ერთად შეიქმნა ახალი საერთო, ელექტრონული ბაზა საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივისთვის. 2017 წლის მეორე კვარტალში ეტაპობრივად დაიწყო გაერთიანებული ბაზის სატესტო რეჟიმში მუშაობა და ეს პროცესი ახლაც არ დასრულებულა. მესამე კვარტალში მზადდებოდა და ინერგებოდა მონაცემთა ბაზა, მომზადდა „მოამბის" არქივის ბაზისთვის საჭირო სქემა, გაიმართა და გაიშვა ქსელის ინფრასტრუქტურა ძველი მონაცემთა ბაზიდან ინფორმაციის ახალ საძიებო სისტემაში გადასატანად. ასევე მიმდინარეობს ფოტო არქივის ბაზის ახალ სისტემაში ინტეგრაცია. ბევრი ხარვეზის გამო მესამე კვარტალი დაეთმო ამ ახალი ბაზის დატესტვასაც. აქტიურად მიმდინარეობს კომუნიკაცია დაქირავებულ კომპანიასთან ბაზის სრულყოფის მიზნით.

არქივი სამსახურის „ფეისბუქ გვერდსა" და „იუთუბ არხზე" პერიოდულად იტვირთება საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეო არქივში დაცული უნიკალური მასალებიდან ფრაგმენტები. ამ არხების არსებობის მიზანია, წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას, თუ რამდენად უნიკალური მასალაა დაცული საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2017 წლის III კვარტალში 57 მომართვა შემოვიდა წერილობით, მათ შორის 16 წერილის შინაარსი ეხებოდა საინფორმაციო არქივს. გაყიდული მასალის საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში შემოსული თანხა ამ დროისათვის შეადგენს 530 ლარს.

კინო-ფოტო და ვიდეო ფონდებში შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეომატარებლებიდან და კინო ფირებიდან ციფრულ DVCAM-DVD მატარებლებზე გადატანილი, სატელევიზიო პროგრამები და ფილმები) სულ: 736 ჩანაწერი. დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალა; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა თუ მოქალაქეებისთვის 117 ერთეული (208 საათი და 14 წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის) აუდიო-ვიზუალური მასალა. მათ შორის რესტავრაცია-კორექცია ჩაუტარდა - 12 ერთეულ (13 საათი და 48 წთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის) სხვადასხვა ტიპის აუდიო-ვიდეო მასალას.

"დიდი ვიდეოფირებიდან" (პირველი თაობის 55 მმ.Q ფორმატის ვიდეოფირებიდან) გადატანილია ციფრულ (DVCAM) მატარებლებზე 38 ერთეული აუდიოვიზუალური მასალა (დაახლოებით 19 საათი და 45 წთ). პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა, კერძოდ: უზუსტობების აღმოფხვრა; თარიღების დადგენა, დაზუსტება; დამატებითი დეტალების შეტანა; კორექტურის გასწორება და სხვა. ვიდეოთეკა მომსახურებას უწევს ყველა თანამშრომელს საეთერო კონტენტის მომზადებისას, აწვდის მათ მასალას მოთხოვნის შესაბამისად.

კინო-ფოტო ფონდი

კინოფონდში-16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია 30 ერთეული, 68 ნაწილი (უხმო და ხმოვანი) 11 საათისა და 20 წუთის მასალა; აქედან: უნიკალური მონიტორული გადაღება: 4 ერთეული, 9 ნაწილი (შემეცნებითი, მუსიკალური და სატ. სპექტაკლი) 1 საათი და 30 წუთი. უხმო მასალა - 60 ნაწილი, 10 სთ.

გრძელდება კინოკატალოგის ელექტრონულ ბაზაში შეტანა. შეტანილია 278 ბარათი (ამ დროისთვის სულ შეტანილია 3003 ბარათი) დამუშავებულია 86 კოლოფი კინომასალა (გაწმენდა; შეწებების, პერფორაციების და რაკორდების აღდგენა) . ფოტო ფონდში-დასკანერებულია და საინფორმაციო ბაზაში შეტანილია 267 ფოტოანაბეჭდი.

მიმდინარეობს შიდა და გარე მომხმარებლის მომსახურება.

აუდიოფონდი

2017 წლის მესამე კვარტალში შეიცვალა აუდიო ფონდის ხელმძღვანელი.

აუდიო არქივში მომუშავე 8 სტუდიამ კატალოგი შეავსო და სერვერში გადაწერა მასალა 1712 მატარებლიდან, სულ 308 საათი, 37 წუთი და 12 წამი, ჯამში 185 GB მეხსიერების მოცულობა. გარდა ამისა, თანამშრომლების ნაწილმა მოახდინა DVD-ს მატერებლების საფონდო ფირების ინვენტარიზაცია: 27600–დან 34000–მდე. აღნიშნულ მასალაზე ინფორმაცია ზუსტდება კატალოგში და ასე იქმნება მეტამონაცემები. დაზღვევის მიზნით სერვერიდან იწერება მასალა DVD (42 ერთეული) და XDVCAM (10 ცალი) მატარებლებზე.

აუდიო არქივი მოემსახურა საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო სტუდიებს მოთხოვნის შესაბამისად და მიაწოდა მათ სასურველი მასალა. გარდა ამისა, აუდიო არქივმა მომსახურება გაუწია გარე მომხმარებლებს.

საინფორმაციოს არქივის განყოფილება

2017 წლის მესამე კვარტალში ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები: დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 9675 ფაილი, რომელმაც შეადგინა 162 საათი; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 3418 ბარათი. გაშიფრული და დაარქივებულია სულ 9675 ფაილი, სულ 162 საათი, 2032 GB მოცულობა. მონაცემთა ბაზაში შევიდა 3418 ბარათი

შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 21 ცალ (DVC-ის) კასეტაზე, რაც შეადგენს 63 საათს; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 196 ბარათი.

საინფორმაციო არქივი ემსახურება მოამბისა და პროგრამების თანამშრომლებს და სამსახურებს მოთხოვნის შესაბამისად, აწვდის მათ მასალას და ინფორმაციას კონტენტის მომზადებისა და ანალიზისთვის. გარდა ამისა, მომსახურებას იწევს გარე მომხარებლების მოთხოვნებს მათი წერილობითი მომართვის საფუძველზე.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ანგარიში

1. ინფორმაცია 2017 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ

2017 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" დასაქმებული იყო 1 157 თანამშრომელი (მათ შორის 465 ქალი).

2. ინფორმაცია 2017 წლის ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის მდგომარეობით

ა) 2017 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში"

- ☐ სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 21 თანამშრომელს;
- ☐ სამუშაოზე მიღებული იქნა 13 თანამშრომელი;
- ☐ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 59 თანამშრომელთან;
- ☐ დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა 7 თანამშრომელი;
- ☐ 2017 წლის ივლისის თვეში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" სტაჟიორი არ მიუღია.

ბ) 2017 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში"

- ☐ სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 28 თანამშრომელს;
- ☐ სამუშაოზე მიღებული იქნა 13 თანამშრომელი;
- ☐ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 8 თანამშრომელთან;
- ☐ დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა 4 თანამშრომელი;
- ☐ 2017 წლის აგვისტოს თვეში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" სტაჟიორი არ მიუღია.

გ) 2017 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში"

- ☐ სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 29 თანამშრომელს;
- ☐ სამუშაოზე მიღებული იქნა 24 თანამშრომელი;
- ☐ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 1 თანამშრომელთან;
- ☐ დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა 5 თანამშრომელი;
- ☐ 2017 წლის ივლისის თვეში სსიპ "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" მიიღო 4 სტაჟიორი.